ოქმი:**ო02.37220211**
თარიღი:**21/01/2022**

ოქმი № 3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2021 წელი, 18 იანვარი

ქ.ოზურგეთი

13.00-14.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: თ. ტუღუში, ლ. კილაძე, დ. ჭაკნელიძე, ნ. ჭანიშვილი, ვლ. ხავთასი, ნ. მახარაძე, ნ. ურუშაძე, ალ. ბურჭულაძე, გ. სირაძე, ნ. სარჯველაძე, თ. ნიკოლაიშვილი, გ. შილაკაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

   მომხსენებელი: ბ. თოიძე

2. მუნიციპალიტეტების მიერ შექმნილი ა(ა).ი.პ-ების მიერ გაწეული მუშაობის აუდიტორული ანგარიშის შესახებ.
   მომხსენებელი: ბ. თოიძე

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ მოკლედ ისაუბრა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებაში შესატან ცვლილებებზე, განაცხადა, რომ ისინი განაპირობა საქართველოს ორგანულ კანონში - საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი - განხორციელებულმა ცვლილებებმა, აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული წარმოებისას პროექტზე შენიშვნები და წინადადებები საკრებულოში არ შემოსულა, სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ წინადადებით მიმართა კომისიის წევრებს მხარი დაეჭირათ პროექტისათვის, რომელსაც კენჭისყრით ერთხმად დაუჭირეს მხარი. გააცნო მუნიციპალიტეტების მიერ შექმნილი ა(ა).ი.პ-ების მიერ გაწეული მუშაობის აუდიტორული ანგარიში , რომელიც კომისიის წევრებმა მიიღეს ცნობად.

გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

2. მუნიციპალიტეტების მიერ შექმნილი ა(ა).ი.პ-ების მიერ გაწეული მუშაობის აუდიტორული ანგარიში მიიღებულ იქნას ცნობად.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი